# ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
# საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

ოქმი:ო47. 4723310001
თარიღი:06/11/2023

**საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის**

**ოქმი N 11**

**დ. ჩოხატაური 26 ოქტომბერი, 2023 წელი.**

**თავმჯდომარეობდ**ა: ვლადიმერ სიხარულიძე.

**ესწრებოდნენ**: გოჩა ჯიქია, კობა კალანდაძე, ქეთევან სიხარულიძე, ზაურ ზარბაზოია, თემური ხუხუნაიშვილი, ლაშა თოლორდავა.

**არ ესწრებოდა:** აკაკი ყაჭეიშვილი, გოგი ბოლქვაძე, დიმიტრი კორიფაძე, ხათუნა ბერიშვილი, მარინე თავაძე, მამია ბარამიძე.

**მოწვეული:**

**მაია გოგოლაძე** - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

**მაია კუტუბიძე -** ჩოხატაურის მერის მოადგილე.

**სხდომის თავმჯდომორემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:**

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიშის შესახებ.
2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

***აზრი გამოთქვეს***: ვლადიმერ სიხარულიძემ, თემურ ხუხუნაიშვილმა, ისინი დაეთანხმნენ დღის წესრიგის წარმოდგენილ პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 7 წევრი)

**დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:**

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიშის შესახებ.

***მომხსენებელი: მაია გოგოლაძე***

**2.** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

***მომხსენებელი: მაია გოგოლაძე***

**I საკითხი**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიშის შესახებ.

**<u>მოისმინეს :</u>**

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიშის შესახებ.

***მომხსენებელი: მაია გოგოლაძე***

***<u>აზრი გამოთქვა:</u>*** ვლადიმერ სიხარულიძემ და აღნიშნა, რომ 9 თვის შემოსავლების გეგმა შესრულებულია 78,6%-ით, რაც ძირითადად განპირობებულია იმით, რომ სხვა შემოსავლების საბიუჯეტო გეგმა შესრულებულია 67, 6%-ით.

რაც შეეხება ხარჯებს, დასუფთავება და გარემოს დაცვა (კოდი 03.00), ფაქტიურმა ხარჯმა ამ კუთხით, 9 თვეში შეადგინა 1 242 133 ლარი. მაშინ, როცა წლის განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო ხარჯი 1 80 000 ლარი.

ასევე, სარეზერვო ფონდი (კოდი 01.02.01) წლის განმავლობაში გათვალისწინებული იყო 50,0 ათასი ლარი. 9 თვეში გახარჯულია 71,0 ათასი ლარი.

კულტურის ცენტრის დაფინანსებისთვის, წლის განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 1,15 000 ლარი, 9 თვის განმავლობაში დაიხარჯა 1 127 967 ლარი.

სოციალური დახმარების კუთხით (კოდი 06.02), წელიწადში ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 1,314 000 ლარი, 9 თვის განმავლობაში, ფაქტიურად ამ კუთხით, 967,620 ათასი ლარია გახარჯული.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, სასწრაფოდ შესატანია ბიუჯეტში ცვლილებები და დასაზუსტებელია ყველა ხარჯი. საკრებულოს სხდომაზე ცვლილებებთან ერთად დამატებით წარმოდგენილი იქნას, თუ რა მიზნით და რისთვის მოხდა დამტკიცებული ხარჯების გადახარჯვა და რას ფიქრობს მერია ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების დაუფინანსებლობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე_ 7

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 7 წევრი)

***მიღებულია გადაწყვეტილება :***

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში და გადაწყვიტა, აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

**II საკითხი**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

**მოისმინეს :**

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

***მომხსენებელი: მაია გოგოლაძე***

***აზრი გამოთქვა:*** კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკაშირებით, კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

***მიღებულია გადაწყვეტილება :***

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ და მიიღო ცნობად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ვლადიმერ სიხარულიძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი